

## ენა და კულტურის ეკოლოგია

*თინათინ მარგალიტაძე*

*ლექსიკოგრაფიული ცენტრი*

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

1989 წელს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებულ სტატიაში „ეკოლოგია და კულტურა“ (№2, 13.01.1989), აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე ეკოლოგიის პრობლემებს განიხილავს სოციალურ-ჰუმანიტარულ მეცნიერებათა თვალთახედვით და შემოაქვს მეტად საგულისხმო ტერმინი „კულტურის ეკოლოგია“. „ჩვენ, წერს მეცნიერი, მთელ ყურადღებას მივაპყრობთ ფიზიკურ-ბიოლოგიურ ეკოლოგიას და თითქმის მთლიანად უგულებელვყოფთ კულტურის ეკოლოგიის პრობლემებს, მაშინ როდესაც მთელი მსოფლიოს ხალხებს, და განსაკუთრებით მცირერიცხოვან ერებს, ფიზიკური გარემოს სიწმინდის დაცვაზე არანაკლებ მწვავედ აწუხებთ ეროვნული კულტურისა და ენის გადარჩენის, თავიანთ ესთეტიკურ და ეთიკურ ფასეულობათა დაცვის საკითხები“. იმ პერიოდში, როდესაც ეს სტატია დაიწერა, ქართულ ენას, ისე როგორც საბჭოთა იმპერიაში მოქცეულ სხვა ენებსაც გადაშენების საშიშროება ემუქრებოდა. დღეს, გლობალიზაციის ეპოქაში, ქართული ენა ახალი საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. ამჯერად ეს არის ინგლისური ენის ყოვლისმომცველი გავლენა. ამ პროცესებს ღრმა ანალიზი და გააზრება ესაჭიროება.

ქართული ენის ლექსიკა ჟამთააღმწერლის სიზუსტით აღწერს ქართველი ხალხის ისტორიას და მის კავშირებს სხვა ენებთან და ერებთან. ეს ისტორიული კონტაქტები თანამედროვე ქართულ ლექსიკაში ასახულია არაბული, სპარსული, თურქული თუ სხვა ეტიმოლოგიის სიტყვებით. ჩვენი ქვეყნის ორსაუკუნოვანმა არსებობამ ჯერ რუსეთის იმპერიის, შემდეგ კი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, ქართულ ენას დაუტოვა საკმაოდ ვრცელი უცხო სიტყვათა ლექსიკონი, რომელიც განმარტავს ამ პერიოდში ქართულ ენაში შემოსულ უცხო სიტყვებს უშუალოდ რუსული ენიდან, ან ევროპული ენებიდან რუსული ენის გავლით. გასული საუკუნის 80-იან წლებში გამოცემული უცხო სიტყვათა აკადემიური ლექსიკონი (ჭაბაშვილი, 1989) 15000-ზე მეტ სიტყვა-სტატიას მოიცავს. რუსული ენის გავლენამ ასევე ქართულ ენას დაუტოვა ასობით ბარბარიზმი, რომლისგანაც ქართული ენა კვლავაც ვერ განთავისუფლდა.

მაშასადამე, ქართული ენა ტრადიციულად „ღია“ ენაა, ის ადვილად სესხულობს სიტყვებს სხვა ენებიდან. მიუხედავად ამისა, ბოლო წლებში ქართულ ენაში მიმდინარე პროცესები იწვევს ქართული საზოგადოებისა და აკადემიური წრეების გაღიზიანებას და შეშფოთებას. როგორც უკვე აღინიშნა, ეს პროცესები დაკავშირებულია ინგლისურ ენასთან და მის ყოვლისმომცველ გავლენასთან: ინტერნეტი და თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები; საერთაშორისო ურთიერთობები, პირდაპირი დიპლომატიური კავშირები უცხოეთთან, რაც დამოუკიდებლობის წლებს უკავშირდება; საბაზრო ეკონომიკა, ახალი სამეწარმეო და სამართლებრივი ურთიერთობები; რევოლუციური წინსვლები მეცნიერებისა და ტექნიკის თითქმის ყველა დარგში. ყველა ეს სიახლე ახალ ტერმინოლოგიასთან, ახალი ცნებების აღმოცენებასთან არის დაკავშირებული, რაც ბუნებრივად მოაწყდა ქართულ ენას სწორედ ინგლისური ენის მეშვეობით.

ლექსიკა ყველაზე სწრაფად რეაგირებს უცხო ენის გავლენაზე და ქართულ ენაში დიდი რაოდენობით შემოედინება სიტყვები ინგლისური ენიდან: დააფდეითება, დაკლიკვა, დალაიქება, დათაგვა, დაფორვარდება, დაქენსელება, დისემინაცია, დედლაინი, დეიოფი, დესტინაცია, დრაივი, დუთიფრი, ევალუაცია, ევიდენსი, ემერჯენსი, ექშენ ფლენი, ვალიდურობა, აჯენდა, აროგანტული, კოპროდუქტი, ასისტანსი და მრავალი სხვა. ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ინგლისური წარმომავლობის სიტყვას აქვს ქართული შესატყვისი ან შესატყვისები. მაგ.: დააფდეითება - განახლება, დაკლიკვა - დაწკაპუნება, დალაიქება - მოწონება, დათაგვა - მონიშვნა, დაფორვარდება - გადაგზავნა, დაქენსელება - გაუქმება და ა.შ. ამ ტიპის არასაჭირო ნასესხობას ბარბარიზმებს ვუწოდებთ.

**ბარბარიზმს** აქვს რამდენიმე დამახასიათებელი ნიშანი: 1. ის არასაჭირო ნასესხობაა, რადგან ენას აქვს მისი შესატყვისი სიტყვა ან სიტყვები. ამ თვალსაზრისით, ბარბარიზმი განსხვავდება უცხო ენის სიტყვისგან, რომელსაც ენაში მოაქვს ახალი ცოდნა, მაგ. კომპიუტერი, ინტერნეტი, კლონი, მუტაცია და სხვა; 2. მისი ხშირი გამოყენება მშობლიური ენის სიტყვას ან სიტყვებს განდევნის ხმარებიდან და იწვევს ენის გაღარიბებას; 3. მესამე ნიშანი, რაც ბარბარიზმთან ასოცირდება ქართულ ენაში, კარგადაა გადმოცემული *ისტორიულ პრინციპებზე შექმნილი ოქსფორდის ინგლისური ენის ლექსიკონის* შესაბამის სიტყვა-სტატიაში: „ენის ვულგარული, დაუხვეწელი მდგომარეობა“ (OED).

უნდა აღინიშნოს განსხვავება რუსული წარმომავლობის ბარბარიზმებსა და ინგლისურენოვან ბარბარიზმებს შორის. რუსული წარმომომობის ბარბარიზმები ბევრად მეტია ენაში, ვიდრე ინგლისურენოვანი: ატვიორტკა (*отвёртка*), პრაკლადკა (*прокладка*), გაიკა (*гайка*), კალოდკა (*колодка*), რაზვალი (*развал*) და მრავალი სხვა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ბარბარიზმები ათწლეულებია აქტიურად გამოიყენება ყოველდღიურ მეტყველებაში, ისინი არასოდეს განიხილებოდა საშიშროებად, რადგან არ აზინძურებდა სალიტერატურო ენას. რაც შეეხება ინგლისური წარმომავლობის ბარბარიზმებს, ისინი სწრაფად იქცა მოდად, ფსევდო განათლებულობის, მაღალი სოციალური სტატუსის ხაზგასმის საშუალებად. სწორედ ამან შექმნა საფრთხე, რადგან ასეთი ლექსიკა აქტიურად ისმის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიდან, ჟურნალისტების, პოლიტიკოსების, ექსპერტების მეტყველებაში. სწორედ მედიამ შეუწყო ხელი ამ ტიპის ლექსიკის არა მხოლოდ სწრაფ გავრცელებას, არამედ უფრო სწრაფ მომრავლებას ენაში. თანდათან ინგლისური წარმომომობის ბარბარიზმები იქცა ერთგვარ ზვავად, რომელიც ყოველ დღე ათობით ქართულ სიტყვას ყლაპავდა და წალეკვით დაემუქრა ენას.

ინგლისური ენის გავლენა ქართული ენის ლექსიკაზე არ შემოიფარგლება მხოლოდ ცალკეული არასაჭირო სიტყვების ენაში შემოსვლით. ძალიან გახშირდა ინგლისური სიტყვების პოლისემიური მნიშვნელობების მიწერა მათი ეკვივალენტი ქართული სიტყვებისათვის, რომელთაც ეს მნიშვნელობა არა აქვთ ქართულში. ასეთია მაგალითად ინგლისური chemistry და ქართული ქიმია. ქართულ ენაში ქიმია მხოლოდ მეცნიერების დარგს აღნიშნავს, ინგლისურში კი ამ სიტყვას მეორე მნიშვნელობაც აქვს: „*ძლიერი ფიზიკური მიზიდულობა ადამიანებს შორის; ურთიერთსიმპათია, ემოციური მიზიდულობა ადამიანებს შორის*“. ინგლისური სიტყვის გავლენით ქართულ ქიმიასაც მიაწერენ ამ მნიშვნელობას, რაც შეცდომაა და აღნიშნული მნიშვნელობით ინგლისური chemistry არა ქიმიით, არამედ სხვა

ქართული ეკვივალენტებით უნდა გადმოიცივს. უდავოა ის ფაქტი, რომ ენებს შორის ასეთი ტიპის სესხებაც ხდება და ქართულ სიტყვას შესაძლოა განუვითარდეს ახალი პოლისემიური მნიშვნელობა ინგლისური შესაბამისი სიტყვის პოლისემიის გავლენით, რასაც ენათმეცნიერაში სემანტიკური სესხება ეწოდება (Geeraerts, 2010 :29). მაგრამ აქაც უნდა განვასხვავოთ ენის საჭიროება და უცოდინრობით ენისთვის თავს მოხვეული სიტყვების გამოყენება. ასეთი შემთხვევების მეტისმეტი განშირებაა საგანგაშო, რასაც ინგლისურიდან ქართულ ენაზე თარგმნილ ტექსტებში (ფილმებში, რომანებში და ა.შ.) ვაწყდებით. ერთ-ერთი ფილმის ქართულ თარგმანში წარღვნამდელი ადამიანი კორუმპირებულიც კი გახადეს! (corrupted).

კიდევ უფრო რთული ვითარებაა ინგლისური შესიტყვებების, ფრაზეოლოგიური ერთეულების ქართულად გადმოტანისას, რაც ხშირად სიტყვა-სიტყვით ითარგმნება. მაგ. სტრატოსფერული მილიონერი (stratospheric millionaire), გონების ამაფეთქებელი (mind-blowing), ინტელიგენტი ოფიცერი (intelligent officer), მილიონდოლარიანი შეკითხვა (the million dollar question) და სხვა.

საჭიროა ხაზი გაესვას ინგლისური ენის გავლენით ქართული ენის ლექსიკაში მიმდინარე პროცესების კიდევ ერთ ასპექტს. როგორც ზემოთ აღინიშნა, რუსული ენის გავლენის პერიოდში ქართულში ბევრი უცხო სიტყვა შემოვიდა. ეს სიტყვები ხშირ შემთხვევაში ლათინური ძირის სიტყვებია და თუმცა ჩვენს ენაში რუსული ენიდან შემოვიდა, შეიძლება ნებისმიერი ევროპული ენიდან შემოსულიყო.

მაგ. ინტელექტი - интеллект, intellect; ტალანტი - талант, talent; ტრანსპარანტული - транспарантный, transparent; რეზულტატი - результат, result; ნეგატიური - негативный, negative; აპლიკაცია - апликация, application; რეზერვაცია - резервация, reservation, etc. აღნიშნულმა სიტყვებმა გრძელი გზა განვლო, სანამ ქართულ ენამდე მოაღწევდა: ლათინურიდან ფრანგულში, ფრანგულიდან რუსულში, რუსულიდან ქართულში. ეს სიტყვები ქართულში ძირითადად დამკვიდრდა იმ მნიშვნელობით, რაც მათ რუსულ ენაში ჰქონდა. დღეს იგივე ლათინური ძირის სიტყვები ქართულში სხვა მნიშვნელობით შემოდის ინგლისური ენიდან, ანუ ხდება ამ სიტყვების ხელახალი სესხება ინგლისური ენიდან. მაგ. რეზერვაცია, როგორც უცხო სიტყვა, ქართულში დამკვიდრებულია შემდეგი მნიშვნელობით: „ჩრდილოეთ ამერიკაში, სამხრეთ აფრიკასა და ავსტრალიაში: ადგილი, სადაც იძულებითი წესით არიან დასახლებული ადგილობრივი მკვიდრნი“ (ჭაბაშვილი, 1989 :430). დღეს, ინგლისური ენის გავლენით, ამ სიტყვას დაჯავშნის მნიშვნელობით იყენებენ. ამის შედეგად ენაში ჩნდება ომონიმური წყვილები, რადგან ქართულში, ინგლისურისაგან განსხვავებით, ამ ორ მნიშვნელობას შორის კავშირი არ ჩანს. ასეთი მაგალითები ძალიან მომრავლდა. როგორც აღინიშნა, ქართული ენის უცხო სიტყვათა ლექსიკონში 15 000 სიტყვა-სტატიაა. ყველა უცხო სიტყვას თუ ამგვარად შეეცვალა მნიშვნელობა, ესეც ენაში ქაოსს შექმნის.

ინგლისური ენის გავლენა არ შემოიფარგლა მხოლოდ ლექსიკური დონით და თანდათან შეაღწია ისეთ მყარ სისტემებში, როგორცაა მორფოლოგია და სინტაქსი. ქართული ენა სინთეზური ენაა კარგად განვითარებული დაბოლოებების სისტემით. ინგლისური ენა კი ანალიზური ენაა, მას არა აქვს დაბოლოებები და გრამატიკულ მიმართებებს სიტყვებს შორის გამოხატავს დამხმარე სიტყვებით, წინდებულებით, წინადადების წყობით და სხვა საშუალებებით. ინგლისური ენის გავლენით უკვე

ვხედავთ ქართულ ენაში მისთვის ბუნებრივი ბრუნვის დაბოლოებების ამოვარდნის მრავალ შემთხვევას, მაგ. office manager - ოფის მენეჯერი, ოფისის მენეჯერის ნაცვლად; Mercedes Benz fashion week - მერსედეს ბენც მოდის კვირეული, მერსედეს ბენცის მოდის კვირეულის ნაცვლად; gold package - გოლდ პაკეტი, ოქროს პაკეტის ნაცვლად; gold card - გოლდ კარტა, ოქროს ბარათის ნაცვლად და სხვა.

ინგლისური ენა არა მხოლოდ მორფოლოგიური სტრუქტურით განსხვავდება ქართული ენისგან, არამედ აზრის გადმოცემის მანერითაც. წესად იქცა ინგლისური ტექსტის სიტყვა-სიტყვით გადმოთარგმა ქართულად, რაც ხშირად აზრის სწორად გაგებას უშლის ხელს. ეს კი ძალიან სახიფათოა მნიშვნელოვანი დოკუმენტების, სახელმძღვანელოების, ინსტრუქციების თარგმნისას, რომ აღარაფერი ითქვას მხატვრულ ლიტერატურაზე, საბავშვო წიგნებზე და ა.შ.

მძიმე მდგომარეობაა თანამედროვე ქართულ ტერმინოლოგიაში. პრეციპიტაცია - (precipitation), შაპერონი - (chaperone), ქემოატრაქტანტი - (chemoattractant), ტრანზიციული მუტაცია - (transitional mutation), რეზიდუალური სტრესის პატერნი - (residual stress pattern), ობსესიურ-კომპულსიური აშლილობა - (obsessive-compulsive disorder) და სხვა. ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა, რომ ბოლო 10 – 15 წლის განმავლობაში სხვადასხვა დარგში დამკვიდრებული ტერმინების 90 პროცენტი შესაბამისი ინგლისური ტერმინების ტრანსლიტერირებული ვარიანტებია, მათ შორის მრავალსიტყვიანი ტერმინებიც.

ამ ენობრივ რეალობას დაემატა წარწერები დაწესებულებების, მაღაზიების, სასტუმროების აბრებზე, სადაც ან საერთოდ არ არის ქართული წარწერა და მხოლოდ უცხოენოვანი წარწერაა, ან თუ არის ქართული წარწერა, ხშირად ისიც მხოლოდ ტრანსლიტერაციითაა შესრულებული: „ზი ჩილდრენს ფლეის“, „ბესტ მარკ“ტ“, „ფულ ჰაუს“ და სხვა.

ამ პროცესების შედეგად ქართული ენა უკიდურესად დაბინძურდა. შეიქმნა იმის რეალური საშიშროება, რომ ცვლილებათა რაოდენობა გადავიდოდა თვისებრიობაში და დიდ ცვლილებებს გამოიწვევდა ენაში, რაც, თავის მხრივ, საფრთხეს შეუქმნიდა ქართული ენის საკომუნიკაციო და სხვა ფუნქციებს. ასეთი დიდი ცვლილებები ალბათ არ არის უცხო არც ერთი ენის ისტორიისათვის, მათ შორის არც ქართული ენის ისტორიისათვის, მაგრამ ის, რაც ხდება ენაში პოლიტიკური არასტაბილურობის, კოლონიური მდგომარეობის თუ სხვა მიზეზების გამო, მიუღებელი და დაუშვებელია უკვე ჩამოყალიბებული ეროვნული, სახელმწიფო ენისათვის.

ქართული ენის ასეთი მასშტაბური დაბინძურება მრავალი მიზეზითაა განპირობებული და ქმნის სწორედ იმგვარ კულტურულ-ეკოლოგიურ პრობლემას ქართველი ხალხისათვის, რაზეც აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე წერს თავის ზემოხსენებულ სტატიაში. „ასეთი ხალხებისა და ენების დაკარგვით კაცობრიობა უფრო ღარიბი და ერთფეროვანი ხდება, რომ აღარაფერი ვთქვათ იმ ხალხების ეროვნულ გრძნობებზე, რომელთაც ისტორიულმა ბედმა არგუნა გამხდარიყვნენ ცოცხალი მოწმენი თავიანთი ეროვნული ენებისა და ეროვნული კულტურების შებღალვისა“.

რა არის ქართულ ენაში მიმდინარე პროცესების მიზეზი?

ამ პროცესების მიზეზი მრავალგვარია, რასაც განათლების სისტემასთან და იქ დაგროვებულ პრობლემებთან მივყავართ. ერთ სტატიაში ყველა მიზეზს ვერ გავანალიზებ, შევეხები მხოლოდ რამდენიმეს.

ქართველი ბავშვები პირველ კლასში ერთდროულად იწყებენ წერა-კითხვის შესწავლას ქართულ და ინგლისურ ენებზე. საბჭოთა იმპერიის შემადგელობაში ყოფნის პერიოდში რუსული ენის სწავლება საქართველოს სკოლებში იწყებოდა მეორე კლასიდან. ძნელი გასაგებია, რა აუცილებლობითაა დღევანდელი პოლიტიკა ნაკარნახები. პრობლემა არ არის მხოლოდ ის, რომ ყველა ბავშვს არა აქვს ერთნაირი გონებრივი შესაძლებლობები და ორ ენაზე ერთდროულად წერა-კითხვის შესწავლა შეიძლება გაუჭირდეს. საქმე ისაა, რომ ის სახელმძღვანელოები, რითაც ქართველი ბავშვები წერა-კითხვას სწავლობენ ვერ უძლებს ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოებისა და სხვა დამატებითი რესურსების, დისკების, შემეცნებითი სახალისო თამაშების და ა.შ. კონკურენციას. ქართველი ბავშვები უფრო ხალისით სწავლობენ წერა-კითხვას ინგლისურ ენაზე, ვიდრე ქართულ ენაზე. ეს ეხება პირველდაწყებით საკითხავ ლიტერატურასაც ქართულ ენაზე, რომელიც კონცეპტუალურად თუ ენობრივად, თუ შინაარსით შეაყვარებდა ქართველ ბავშვებს კითხვას მშობლიურ ენაზე. ფაქტია, რომ უკიდურესადაა გაღარიბებული ქართველი ახალგაზრდების ლექსიკა. ლექსიკის გამდიდრებას ბევრი კითხვა სჭირდება. ქართველი ბავშვები ვერ შეიყვარებენ ქართულად წიგნის კითხვას იმ სახელმძღვანელოებით, საბავშვო წიგნებით, თარგმანებით თუ სხვა რესურსებით, რაც დღეისათვის მოგვეპოვება. ქართული ენა უნდა ამეტყველდეს თანამედროვე ტექნოლოგიების ენაზე და თანამედროვე ტექნოლოგიებში. წინააღმდეგ შემთხვევაში ქართველი ბავშვები დარჩებიან მხოლოდ ინგლისურენოვანი ფილმების, თამაშების, გადაცემების ტყვეობაში და ჩვენ წავაგებთ ბრძოლას ქართული ენისათვის.

კიდევ უფრო დიდი პრობლემაა უცხო ენებისა და, კერძოდ, ინგლისური ენის სწავლების მეთოდები, რომლებიც გავრცელდა საქართველოს სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ბოლო წლებში და რომელმაც სრულიად უარყო მშობლიური ენის გამოყენება უცხო ენების სწავლების დროს. მშობლიური ენის გამოყენება უცხო ენის სწავლების დროს არ ნიშნავს იმას, რომ მაგალითად, ინგლისური ენის გაკვეთილი ქართულ ენაზე უნდა ჩატარდეს. ეს ნიშნავს ინგლისური ენის ლექსიკური, გრამატიკული და სინტაქსური ინფორმაციის შესაბამისობაში მოყვანას ქართული ენის შესაბამის ლექსიკურ, გრამატიკულ და სინტაქსურ ინფორმაციასთან. სულ უფრო მეტი უცხოელი მეცნიერი უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ უცხო ენების სწავლებისას საჭიროა უცხო ენის შემსწავლელს გავაცნობიერებინოთ მის მშობლიურ ენასა და უცხო ენას შორის არსებული სხვაობა, ასიმეტრია (Adamska-Sałaciak, 2014).

ინგლისურენოვან ბარბარიზმებზე, და მთლიანად, ქართულ ენაში მიმდინარე პროცესებზე დაკვირვება და მათი ანალიზი ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ჩვენში გავრცელებულია აზრი, თითქოს ქართულ და ინგლისურ სიტყვებს შორის არსებობს მარტივი ასიმეტრია, რომ ქართული სიტყვები იგივე შინაარსს გადმოსცემენ, ან უნდა გადმოსცემდნენ, რასაც მათი შესატყვისი ინგლისური სიტყვები, რომ ერთ ინგლისურ სიტყვას ერთი ქართული სიტყვა უნდა შეესატყვისებოდეს, ორს - ორი და ა.შ. ასეთივე მიდგომაა ფრაზებისა და წინადადებების მიმართ, რომლებიც ხშირად, როგორც ზემოთ აღინიშნა, სიტყვა-სიტყვით ითარგმნება ინგლისურიდან ქართულად.

**შესაძლოა სწორედ ეს გავრცელებული აზრი იყოს კიდევ ქართულ ენაში ამდენი ბარბარიზმის და მახინჯი პროცესების მომრავლების წყარო.**

სინამდვილეში კი სრულიად სხვა ვითარება გვაქვს. ქართული და ინგლისური ენები რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან ენობრივი აზროვნებით, აზრის გადმოცემის მანერით. ძნელია მოიძებნოს ქართული და ინგლისური თითქოსდა ეკვივალენტური სიტყვები, რომლებიც ყველა კონტექსტში ჩაანაცვლებს ერთმანეთს. მაგ. ინგლისური ზმნის to strip ქართული შესატყვისია ტანსაცმლის გახდა, მაგრამ to strip the room უნდა ითარგმნოს შემდეგნაირად - ოთახის ავეჯისგან დაცლა; to strip a bed ლოგინიდან თეთრეულის აღება (*გასარეცხად*); to strip the paint საღებავის აფხეკა; to strip of the rank წოდების ჩამორთმევა და სხვა. **ეს არის ენობრივი კანონზომიერება!** (Adamska-Sałaciak 2010, Margalitadze, Meladze 2016, Zgusta 1971).

ასევე ინგლისურ ენაში არის სიტყვები, რომლებიც ქართულ ენაში საერთოდ არ არის ლექსიკალიზებული. მაგ. privacy ინგლისურ ენაში ნიშნავს - პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას. ეს სიტყვა ქართულ ენაში არ არის ლექსიკალიზებული, ჩვენ არ გვაქვს ერთი სიტყვა, რომელიც ამ ცნებას აღნიშნავს, ამიტომ მისი ქართულად გადმოცემისათვის გვჭირდება სამი სიტყვა - პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა. **ესეც კანონზომიერებაა და არ ნიშნავს იმას, რომ ქართული ენა ნაკლებია ინგლისურ ენასთან მიმართებით.** ასევე არის ქართულშიც უამრავი ცნება, რომელიც არ არის ინგლისურ ენაში ან სხვა ენებში ლექსიკალიზებული. ასეთივე ასიმეტრიაა ინგლისური და ქართული ენების მორფოლოგიურ და სინტაქსურ ინფორმაციებს შორის.

**სწორედ ასეთი სწორხაზოვანი სიმეტრიის არარსებობა არის ყოველი ცალკეული ენის, მათ შორის ქართული ენის, სიმდიდრე და უნიკალურობა.** ეს ასიმეტრია ინგლისური ენის შემსწავლელმა, სპეციალისტმა, მასწავლებელმა, მთარგმნელმა კარგად უნდა გაითავისონ და ინგლისური ენისა და, ზოგადად, უცხო ენების შესწავლის ქვაკუთხედი უნდა გახდეს.

სწორედ ამ განსხვავებების გამო არის საჭირო უცხო ენის ინფორმაციის შესაბამისობაში მოყვანა მშობლიური ენის შესაბამის ინფორმაციასთან. არადა ბოლო წლებში საქართველოში გავრცელებული უცხო ენების სწავლების მეთოდები მაქსიმალურადაა ორიენტირებული მშობლიური ენის განდევნაზე სასწავლო პროცესიდან, თარგმანის როლის დაკნინებაზე, რასაც თან ახლავს ორენოვანი, თარგმნითი ლექსიკონების გამოყენების უარყოფა ერთენოვანი, უცხოენოვანი განმარტებითი ლექსიკონების სასარგებლოდ. ინგლისური ბარბარიზმის გამოყენების მიზეზი, ხშირ შემთხვევაში, არის **ქართული ბუნებრივი ეკვივალენტის არცოდნა**, მოსაუბრე ვერ არჩევს საჭირო ქართულ სიტყვას, რადგან მის ცნობიერებაში ესა თუ ის ინგლისური სიტყვა არ არის შესაბამისობაში მოყვანილი მის ბუნებრივ ქართულ ეკვივალენტთან. უცხო ენის სწავლების პროცესიდან მშობლიური ენის განდევნა, ერთი მხრივ, ხელს უშლის უცხო ენის სრულფასოვან შესწავლას, მეორე მხრივ კი, აზარალებს მშობლიურ ენას. უცხო ენის შესწავლა რთული პროცესია, მით უფრო ქართველისათვის ძნელია ინგლისური თუ სხვა ევროპული ენის შესწავლა, რადგან ქართული ენა არ არის ევროპული ენების მონათესავე ენა და, როგორც ზემოთ აღინიშნა, მნიშვნელოვნად განსხვავდება მათგან როგორც სტრუქტურულად, ისე აზრის გადმოცემის მანერით. უცხო ენის შესწავლის დროს საჭიროა ახალი ენობრივი (ლექსიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური) ინფორმაციის მიმართებაში მოყვანა ენის შემსწავლელისთვის ყველაზე კარგად ნაცნობ ენასთან, ანუ მშობლიურ ენასთან.

ორენოვან, უცხოურ-მშობლიურ ლექსიკონს ესა თუ ის ახალი ლექსიკური ერთეული თუ სინტაქსური კონსტრუქცია ადვილად მოჰყავს მიმართებაში მშობლიურ ენასთან. ეს, ერთი მხრივ, აადვილებს სწავლის პროცესს, მეორე მხრივ კი, ენის შემსწავლელს აჩვევს მშობლიურ ენაზე უცხო ენის ბუნებრივი ლექსიკური თუ სინტაქსური ეკვივალენტების გამოყენებას და ეხმარება მას გამართულად წეროს და იმეტყველოს მშობლიურ ენაზე, მშობლიურ ენას არ მოახვიოს თავს მისთვის არაბუნებრივი ფორმები. ეს პრობლემა კარგადაა ცნობილი უცხო ენების უფროსი თაობის ქართველი სპეციალისტებისათვის, რომლებიც უცხო ენებს, შესაბამისი ქართულენოვანი ლექსიკონების არარსებობის გამო, რუსულენოვანი ლექსიკონებით ეუფლებოდნენ. ამის შედეგად, უცხო ენის ქართველი შემსწავლელის ცნობიერებაში უცხო სიტყვა შესაბამისობაში იყო მოყვანილი შესაბამის რუსულ და არა ქართულ ეკვივალენტთან. იმ პერიოდში ქართული ენა ზარალდებოდა რუსული ენისა და რუსულენოვანი ლექსიკონების გამო, ახლა კი ზარალდება ინგლისურ ენასთან მიმართებით. რასაც საბჭოთა პერიოდში აფუჭებდა რუსულენოვანი ლექსიკონები, ახლა იმასვე აკეთებს ინგლისური ენის სწავლების პროცესში მხოლოდ ინგლისური ენის განმარტებითი ლექსიკონების გამოყენება.

**ბარბარიზმების მომრავლების მეორე მიზეზი არის ქართული ლექსიკოგრაფიის უგულვებელყოფა საქართველოში ბოლო 10 – 15 წლის განმავლობაში.**

როგორც ზემოთ აღინიშნა, ახალმა ვითარებამ, რაშიც საქართველო აღმოჩნდა დამოუკიდებლობის წლებში, ახალი დარგების განვითარებამ, მეცნიერებისა და ტექნიკის რევოლუციურმა წინსვლამ გამოიწვია ქართულ ენაში ახალი ცნებების, ახალი სიტყვების მოზღვაება ინგლისური ენის მეშვეობით. ამ ვითარებას ფილტრად ქართული ლექსიკოგრაფია უნდა დასდგომოდა, სწორედ ლექსიკონებს უნდა დაეცვათ ქართული ენა ქაოსური პროცესებისაგან, სწორედ პროფესიონალ ლექსიკოგრაფებს უნდა ემუშავათ ახალი ცნებების ქართულ ენაში დამკვიდრების გზებსა და მეთოდებზე, სწორედ ამ პერიოდში უნდა შექმნილიყო და გამოცემულიყო ახალი ინგლისურ-ქართული ტერმინოლოგიური ლექსიკონები, შექმნილიყო ახალი ლექსიკონები ევროპულ ენებთან მიმართებით, გაძლიერებულიყო მუშაობა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ახალ რედაქციაზე, გადამუშავებულიყო არსებული ლექსიკონები, შექმნილიყო ქართული ენის კორპუსები და ტერმინოლოგიური ბანკები, შემუშავებულიყო ენობრივი ტექნოლოგიები ქართული ენისათვის. ამის ნაცვლად, საქართველოში ლექსიკოგრაფიული საქმიანობა და ქართველი ლექსიკოგრაფები უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

2010 წელს ბათუმში ჩატარდა პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი ლექსიკოგრაფიაში, რომლის ორგანიზატორები იყვნენ: არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექსიკოგრაფიული ცენტრი და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სიმპოზიუმმა მიიღო მიმართვა საქართველოს მთავრობისა და აკადემიური საზოგადოებისადმი, რომელშიც გაანალიზებული იყო ქართულ ლექსიკოგრაფიაში შექმნილი მძიმე ვითარება და მისი მიზეზები და შემუშავებული იყო რეკომენდაციები ამ პრობლემის მოსაგვარებლად. ციტატა მიმართვიდან:

„... მდგომარეობა ქართული ლექსიკოგრაფიისა, რომელსაც ხანგრძლივი ისტორია და დიდი ტრადიციები აქვს, სერიოზული განგამის საფუძველს იძლევა. ლექსიკოგრაფის კოლოსალური შრომა დღევანდელ საქართველოში თითქმის სრულიად



დაუფასებელია... დასამალი არ არის, რომ დღეისათვის ძირითადი და სავალდებულო ლექსიკონების თვალსაზრისით მკვეთრად ჩამოვრჩებით იმ დონეს, რომელიც ევროპული სტანდარტებით მოეთხოვება განვითარებული მწიგნობრობის ქვეყანას, და ეს ჩამორჩენა თანდათანობით გამოუსწორებელ ხასიათს იძენს. ასეთ ვითარებაში დარგს დაღუპვა ემუქრება“ (Williams, 2016).

სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, რომ ორი საერთაშორისო სიმპოზიუმის შედეგად გარკვეული ცვლილებები მოხდა დარგში, ვერ ვხედავთ რადიკალურ ძვრებს და იმ ნაბიჯებს, რამაც ეს უმძიმესი ჩამორჩენა უნდა აღმოფხვრას.

სწორედ ამ ვითარებამ გადააწყვეტინა ლექსიკოგრაფიულ ცენტრს ორი წლის წინ სოციალურ ქსელში წამოეწყო მოძრაობა „არა ბარბარიზმებს!“. მოძრაობის მიზანია დააფიქროს ქართული საზოგადოება, განსაკუთრებით ქართველი ახალგაზრდები, ჟურნალისტები, პოლიტიკოსები ენაში მიმდინარე პროცესებზე, მათ გამოძვევებ მიზეზებზე, იმ საფრთხეებზე, რასაც ეს პროცესები იწვევენ და გამოიწვევენ მომავალში ენაში. ასევე მოძრაობის მიზანია განუმარტოს საზოგადოებას აღნიშნული პროცესები. ამ მიზნით სოციალურ ქსელში, მოძრაობის გვერდზე სისტემატურად ქვეყნდებოდა და ქვეყნდება სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის სტატიები, რომლებიც საზოგადოებას განუმარტავს ამა თუ იმ შეცდომას, რაც ხშირად ისმის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიდან. ამავე მიზნით ჩატარდა და მომავალშიც ჩატარდება არაერთი საჯარო ლექცია როგორც თბილისში, ისე რეგიონებში მოსწავლეებისათვის, სტუდენტებისათვის, ფართო საზოგადოებისათვის. ჩატარდა და მომავალშიც დაგეგმილია კონკურსების ჩატარება ქართველი ახალგაზრდებისათვის ქართულ ენასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე. ლექსიკოგრაფიულ ცენტრში შეიქმნა ახალი ტიპის ლექსიკონი, ბარბარიზმების ონლაინ-ლექსიკონი, რომელიც 2017 წლის მაისში განთავსდა ინტერნეტში. მასში შევიდა როგორც რუსული, ისე ინგლისური წარმომავლობის ბარბარიზმები, სულ 1100 ბარბარიზმი (<http://barbarisms.ge>). ლექსიკოგრაფიულმა ცენტრმა გამოსაცემად მოამზადა ინგლისურ-ქართული სასწავლო ლექსიკონი, რომელიც დააკმაყოფილებს ენის ცოდნის საშუალო და საშუალოზე მაღალ დონეებს. აღნიშნული ლექსიკონის ონლაინ-ვერსია ინტერნეტშიც განთავსდება და ხელმისაწვდომი იქნება ქართული საზოგადოებისათვის. დაგეგმილია ონლაინ-სავარჯიშოების ციკლის მომზადება და გამოქვეყნება, რომელიც მიზნად ისახავს ლექსიკონის გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარებას ქართველ ახალგაზრდებში.

და მაინც, სწორი ენობრივი პოლიტიკის შემუშავებისა და გატარების პირობებშიც, ქართული ენისათვის მიყენებული ზიანის გამოსწორებას, სავარაუდოდ, წლები დასჭირდება. ამიტომ არის ასეთი მნიშვნელოვანი როგორც სწორი სახელმწიფო პოლიტიკა, ისე საზოგადოების ინფორმირებულობა ენაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. ვფიქრობთ, ეს ფუნქცია შეასრულა მოძრაობამ „არა ბარბარიზმებს“, მან დააფიქრა საზოგადოება ენაში მიმდინარე პროცესებზე და, გარკვეულწილად, მოახერხა მათი ნაწილობრივი შეჩერება.

მაშასადამე, თანამედროვე ქართულ ენაში მიმდინარე პროცესები გამოწვეულია განათლების სისტემაში არსებული ხარვეზებით, უცხო ენების სწავლების არასწორი მეთოდებით, აკადემიური ლექსიკოგრაფიის სრული უგულვებლყოფით, ტერმინოლოგიური მუშაობის შეჩერებით და სხვა. ქართულ ენას არ სჭირდება



გაინგლისურება ან გაგერმანულება. მას სჭირდება განვითარება და მორგება ჩვენს თანამედროვე სწრაფად ცვლად ეპოქასთან, რაც, უპირველეს ყოვლისა პროფესიონალმა ლექსიკოგრაფებმა და მთარგმნელებმა უნდა გააკეთონ სხვადასხვა დარგის სპეციალისტებთან ერთად, მცოდნე და პროფესიონალი მასწავლებლების დახმარებით, მთელი საზოგადოების გვერდში დგომით, და რა თქმა უნდა, სათანადო პოლიტიკური და ფინანსური მხარდაჭერით სახელმწიფოს მხრიდან.

დავუბრუნდეთ სტატიის სათაურს - „ენა და კულტურის ეკოლოგია“. ფიზიკური გარემოს დაბინძურება მავნეა ადამიანთა ჯანმრთელობისათვის, კულტურის ეკოლოგიის დაბინძურება და ენის შერყვნა კი საფრთხეს უქმნის ერის კულტურულ და ენობრივ იდენტობას.

### მითითებული ლიტერატურა:

ჭაბაშვილი, მ. *უცხო სიტყვათა ლექსიკონი*. „განათლება“, თბილისი, 1989.

**Adamska-Salaciak, A.** Examining Equivalence. *International Journal of Lexicography*. Oxford: Oxford University Press, 2010. 4: 387 – 409.

**Adamska-Salaciak, A.** Bilingual Lexicography: Translation Dictionaries. *International Handbook of Modern Lexis and Lexicography*. DOI 10.1007/978-3-642-45369-4\_6-1 # SpringerVerlag Berlin Heidelberg, 2014.

**Geeraerts, D.** *Theories of Lexical Semantics*. New York: Oxford University Press Inc., 2010.

**Margalitadze, T., Meladze, G.** Importance of the Issue of Partial Equivalence for Bilingual Lexicography and Language Teaching. *Proceedings of the XVII EURALEX International congress: Lexicography and Linguistic Diversity*. Tbilisi: Ivane Javakhishvili Tbilisi State University. 2016. <http://euralex.org/category/publications/euralex-2016/>

(OED) *Oxford English Dictionary on Historical Principles* (Vol. I – XIII; suppl. I – IV). Oxford: Oxford University Press

**Williams, G.** In Praise of Lexicography, and Lexicographers. *Proceedings of the XVII EURALEX International Congress: Lexicography and Linguistic Diversity*. Tbilisi: Ivane Javakhishvili Tbilisi State University. 2016. <http://euralex.org/category/publications/euralex2016/>

**Zgusta, L.** *Manual of Lexicography*. Prague: Academia. The Hague: Mouton, 1971.

